სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის

ბრძანება №002523/21
2019 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 01/02/2013, სარეგისტრაციო კოდი: 010230000.58.070.016007) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლის:**

ა) **„ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ი) სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი:

ი.ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის სამსახური;

ი.ბ) სტრატეგიული ანალიზის სამსახური;“;

ბ) **„რ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ ქვეპუნქტი:**

„ს) დონორებთან ურთიერთობის სამსახური.“.

2. **მე-6 მუხლის:**

ა) **მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დ) სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი, ასევე:

დ.ა) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ამზადებს სამსახურის მოხსენებებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის და წლიური შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშებთან დაკავშირებით;

დ.ბ) ამზადებს სამსახურის დასკვნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტზე;

დ.გ) ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ანალიზს და საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგის მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას;

დ.დ) ახორციელებს სამსახურის წლიური აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის კოორდინაციასა და მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას;

დ.ე) ახორციელებს წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმის შესრულების მონიტორინგს;

დ.ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახორციელებს აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის ანალიზსა და სისტემატიზაციას;

დ.ზ) უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადებას;

დ.თ) ამზადებს საქართველოს პარლამენტში წარსადგენად სამსახურის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;

დ.ი) კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს გენერალური აუდიტორის ბრძანების პროექტებს და სხვა

დოკუმენტაციას.“;

ბ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 პუნქტი:

„13. დონორებთან ურთიერთობის სამსახური:

ა) უზრუნველყოფს სამსახურის უცხო ქვეყნის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და ამ მიზნით კომპეტენციის ფარგლებში:

ა.ა) გეგმავს და ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს;

ა.ბ) ამზადებს საერთაშორისო დოკუმენტებს (შეთანხმებებს, მემორანდუმებს, თანამშრომლობის პროგრამებს და სხვ.);

ა.გ) იძიებს ფონდებს, შეიმუშავებს და მართავს საგრანტო პროექტებს;

ა.დ) ახორციელებს თანამშრომლობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგსა და ანალიზს;

ა.ე) გეგმავს სამსახურის წარმომადგენელთა ვიზიტებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, აღრიცხავს და აანალიზებს მივლინების ანგარიშებს;

ა.ვ) აწარმოებს საერთაშორისო კომუნიკაციას;

ა.ზ) შეიმუშავებს გენერალური აუდიტორის ბრძანების პროექტებს;

ბ) ასრულებს გენერალური აუდიტორის და შესაბამისი ბრძანების არსებობის შემთხვევაში კურატორი მოადგილის დავალებებს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
გენერალური აუდიტორი **ერეკლე მექვაბიშვილი**